

დემენცია და დეპრესია ხანდაზმულებში - საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრობლემა

დემენცია

დემენცია - სინდრომი, რომელიც მესხიერების დეგრადაციას, აზროვნების, ქცევის და შესაძლებლობების, ყოველდღიური ნორმალური ქმედუნარიანობის შეზღუდვას იწვევს.

მიუხედავად იმისა, რომ დემენცია დაბერების პროცესის ჩვეულებრივ ნაწილად არ ითვლება, ძირითადად ხანდაზმულ ადამიანებზე ახდენს გავლენას. მსოფლიოში, დემენციის სინდრომით 47,5 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. პროგნოზული შეფასებებით დემენციით დაავადებული ადამიანების რიცხვი 75,6 მლნ-მდე გაიზრდება 2030 და 135,5 მლნ-მდე 2050 წლისათვის; და მათი უმრავლესობა დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნების მცხოვრებლებში შეგვხვდება.

დემენცია წარმოშობს არსებით სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს სამედიცინო, სოციალური და არაფორმალური დახმარების თვალსაზრისით. საჭიროა დემენციის სინდრომის მქონე ადამიანების მხარდაჭერა და მათზე ზრუნვა სამედიცინო, სოციალური, ფინანსური და სამართლებრივი სისტემებით.

დეპრესია

დეპრესია მსოფლიოში გავრცელებული ფსიქიკური პრობლემაა; იგი იწვევს ყოველდღიური ცხოვრების ნორმალური ფუნქციონირების შეზღუდვას. ხანდაზმული ადამიანების 7%-ს უნიპოლარული დეპრესია აღენიშნება. დეპრესიის დიაგნოსტიკა არასათანადოდ ხდება და ყველა ავადმყოფი ვერ იღებს საჭირო დახმარებას. ხანდაზმულებში დეპრესიის სიმპტომები ხშირად ყურადღებისა და მკურნალობის მიღმა რჩება, იმდენად რამდენადაც ის თან ერთვის ხანდაზმულობის ასაკის სხვა პრობლემებს.

მკურნალობისა და მოვლის სტრატეგია

მნიშვნელოვანია ჯანდაცვის მუშაკებისა და საზოგადოების მომზადება ხანდაზმული ადამიანების განსაკუთრებული საჭიროებებისთვის.

- სამედიცინო სფეროს წარმომადგენლების მომზადება ხანდაზმული ასაკის ადამიანების დახმარების გასაწევად;
- ფსიქოტროპული ნივთიერებების გამოყენებასთან დაკავშირებული ქრონიკული დაავადებების, ნევროლოგიური, მათ შორის ფსიქიკური დარღვევების პრევენცია;
- პალიატიური მზრუნველობის მდგრადი და გრძელვადიანი პოლიტიკის შემუშავება;
- ასაკობრივ საჭიროებებზე მორგებული პირობები და მომსახურება.

ჯანმრთელობის შესახებ განათლება

ხანდაზმული ადამიანების ფსიქიკური ჯანმრთელობა შესაძლოა გაუმჯობესდეს აქტიური და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციით. ჯანმრთელობის შესახებ განათლება, ხანდაზმული ადამიანების ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის გათვალისწინებით, დაკავშირებულია საცხოვრებელი გარემოს და მდგომარეობის, კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან, რაც საშუალებას აძლევს მათ იცხოვრონ ჯანმრთელი და ინტეგრირებული ცხოვრებით. ფსიქიკური ჯანმრთელობის ხელშეწყობისათვის აუცილებელია ხანდაზმული ადამიანების უზრუნველყოფა იმ რესურსებით, რაც მათ საშუალებას მისცემთ დაიკმაყოფილონ ძირითადი საჭიროებები, როგორცაა:

- თავისუფლებისა და უსფრთხოების უზრუნველყოფა;
- შესაფერისი საცხოვრებელი უზრუნველყოფა;
- ხანდაზმულებისა და მათზე მზრუნველი პირების სოციალური დაცვა;
- ეროვნული საგანმანათლებლო და სპეციალური პროგრამები სოციალურად დაუცველი ჯგუფებისთვის, მაგალითად მარტოხელები, სოფლად მცხოვრები ქრონიკული დაავადების ან ფსიქიკური/ფიზიკური დაავადების რეციდივის შემთხვევებში;
- ხანდაზმულებზე ძალადობისა და ცუდი მოპყრობის აღმკვეთი პროგრამები;
- ადგილობრივი თემების განვითარების პროგრამა.

ლონისძიებები

ფსიქიკური და ნევროლოგიური დარღვევების დროული ამოცნობა და მკურნალობა, რომელიც დაკავშირებულია ხანდაზმულ ადამიანებში ფსიქოტროპული ნივთიერებების გამოყენებასთან ერთერთი მთავარი ფაქტორია. ამ შემთხვევაში რეკომენდებულია როგორც ფსიქოსოციალური, ასევე მედიკამენტოზური ჩარევა.

დღეისათვის არ არსებობს დემენციის სამკურნალო პრეპარატი. თუმცა, არსებობს მრავალი საშუალება დემენციით დაავადებულთა და მათი ოჯახის წევრების მხარდაჭერისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისათვის. კერძოდ:

- ადრეული დიაგნოსტიკა დაავადების დროული და ოპტიმალური მართვის მიზნით;
- თანმდევი დაავადებების გამოვლენა და მკურნალობა;
- ფსიქოლოგიური სიმპტომებისა და ქცევითი დარღვევების იდენტიფიკაცია და მართვა;
- დახმარების გამწვევი პირებისთვის გრძელვადიანი მხარდაჭერა და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება.

ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ზრუნვა თემში

ხანდაზმულ ადამიანებში ჯანმრთელობის მდგომარეობის, ქრონიკული დაავადებების მართვისა და დაავადებების/გართულებების პროფილაქტიკისათვის აუცილებელია სოციალური დახმარება. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია ჯანდაცვის სპეციალისტების მომზადება ხანდაზმულობის ასაკთან დაკავშირებული მენტალური დარღვევებისა და პრობლემების საკითხში.

კრიტიკულად აუცილებელია ხანდაზმული ადამიანებისათვის ეფექტური პირველადი ფსიქიკური დახმარების გაწევა თემში. არანაკლებ მნიშვნელოვანია გრძელვადიანი ზრუნვა მენტალური დარღვევების მქონე ხანდაზმულებზე; ასევე, იმ ადამიანების განათლება, პროფესიული მომზადება და მხარდაჭერა, რომლებიც აღნიშნული პრობლემების მქონე ხანდაზმულ ადამიანებზე ზრუნავენ.

ფსიქიკური დარღვევის მქონე და მათზე მზრუნველი ადამიანებისთვის მაღალი ხარისხის დახმარების გასაწევად აუცილებელია შესაბამისი სამართლებრივი გარემო, რომელიც ეფუძნება საერთაშორისო დონეზე აღიარებულ ადამიანთა უფლებების დაცვას.

ჯანმოს ქმედებები

ჯანმოს პროგრამამ „აქტიური და ჯანმრთელი ხანდაზმულობის“ შესახებ საერთაშორისო დონეზე შექმნა მოქმედების გლობალური ჩარჩო.

ჯანმო მხარს უჭერს მთავრობის გეგმებსა და მიზანს - პოლიტიკაში ფსიქიკური ჯანმრთელობის ხელშეწყობის ეფექტური სტრატეგიის წარმატებულ ინტეგრაციას.

ჯანმო დემენციას საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უდიდეს პრობლემად აღიარებს. ჯანმოს ანგარიში „დემენცია: საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პრიორიტეტი“, საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე უწევს ადვოკატირებას შესაბამის ქმედებებს.

დეპრესიასა და სხვა პრიორიტეტულ ფსიქიკურ დარღვევებთან ერთად, დემენცია ჩართულია ჯანმოს პროგრამაში: „Mental Health Gap Action Programme (mhGAP)“. პროგრამის მიზანია ჯანდაცვის სერვისების გაუმჯობესება მწირი რესურსების მქონე ქვეყნებში ფსიქიკური და ნევროლოგიური დარღვევების, ასევე ფსიქოტროპული ნივთიერებების მიღების შედეგად გამოწვეული დარღვევების მქონე ადამიანთათვის რეკომენდაციებისა და ინსტრუმენტების საშუალებით.

2015 წელს ჯანმომ ამ საკითხზე პირველი მინისტრიალი მოიწვია. კონფერენცია ეხებოდა დემენციის საწინააღმდეგო გლობალურ ქმედებებს. მის მიზანს წარმოადგენდა საზოგადოებრივ ჯანმრთელობასა და ეკონომიკაში დემენციით გამოწვეული პრობლემების შესახებ ცნობიერების ამაღლება და ხელს უწყობდა სახელმწიფოს წევრებისა და დაინტერესებული მხარეების პასუხისმგებლობებისა და როლის უკეთ გაგებას. გარდა ამისა, მინისტრიალმა, კონფერენციის მონაწილეთა მხარდაჭერით, მიიღო „მოწოდება მოქმედებისაკენ“

